

**რ ე ს ე ნ ზ ი ა / REVIEW**

**პროფესორ შუშანა ფუტკარაძის ფუნდამენტური  
ორტომეული „ჩვენებურების ქართული“  
GEORGIAN LANGUAGE OF CHVENEUREBI,  
ESSENTIAL TWO-VOLUME SET  
BY PROFESSOR SH. PUTKARADZE**

**იზა ჩანტლაძე**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
თბილისი. საქართველო

**Iza Chantladze**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Arnold Chikobava Institute of Linguistics.  
Tbilisi. Georgia

**ABSTRACT**

Professor Shushana Putkaradze was the first scholar after Nicholas Marr, who during 1904-1989, set foot in the land of historical Tao-Klarjeti. She pursued scholarly study of the idiom of the Georgian community living in Turkey, publishing the research finding in the monography (a two-volume set) entitled Georgian Language of Chveneburebi.

Volume 1 (1993) presents samples of speech of the Georgian dialects such as Imerkhevan, Livanan, Machakhelian, Taoan, as well as that of the Muhajir Georgians.

Volume 2 (2016) of Georgian Language of Chveneburebi offers linguistic analysis of the idiom of Tao-Klarjeti as well as Muhajir Georgians which is interesting in terms of linguistics, ethnolinguistics, folklore, history, etc.

The works of Professor Shushana Putkaradze manifest two directions of research. She studied the Georgian language spoken by autochthon ethnic Georgians as well as the Georgians who had undergone the exile to Turkish central regions from Adjara, Samtskhe-Javakheti or Tao-Klarjeti at various times over the centuries. Most certainly, we have come across a complex picture which is especially intriguing from the perspective of General Linguistics and, specifically, in terms of morphological and lexicological aspects of Georgian and Turkish which are typologically absolutely different languages.

Professor Sh. Putkaradze's research spanning over twenty-six years focused on the language of Chveneburebi from Turkey comparing it with both Adjarian and Meskhan-Javakhan dialects. This comprehensive work provides thorough analysis of plenty of illustrative material that display these similarities and differences, attested in many towns and villages in different periods.

Sh. Putkaradze's Georgian Language of Chveneburebi represents a significant Kartvelological research study.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ენა, ქართული დიალექტები, მუჰაჯირთა მეტყველება, ტაო-კლარჯეთი, ჩვენებურების ქართული.

**Keywords:** Georgian Language, Georgian Dialects, Muhajireen Speech, Tao-Klarjeti, Georgian Language of Chveneburebi.

პროფესორ შუშანა ფუტკარაძის კვლევის ობიექტს, როგორც ეთნოლინგვისტური ისე კულტუროლოგიური თვალსაზრისით, წარმოადგენს ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, ანუ ის ტერიტორია, სადაც ამ რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთ სოფელში ტექსტის ჩანერის დროს ჩვენს კოლეგას უთხრეს: „დღემდე ვერ მოვახერხე ჩემი მემლექეთის ნახვა და, თუ ასე გაგრძელდა, როცა მოვკვდები, თვალები ღია დამჩება“.

ეს ის ქვეყანაა, სადაც „მინცხამ გურჯიჯა არ იცის, იმას ქართველ კაცათ არ თვლიან“ (ფუტკარაძე 1993: 81), სადაც მიუხედავად არაერთი დაბრკოლებისა, მაინც ასე ლოცულობენ:

„გახსოვდეს, ვინ ხარ, სიდან მოსული,  
ვისი სისხლი გაქ ტანში გართული,  
იცოდე, რომ გაქ სისხლი ქართული,  
ქართულ ქოქზე ხარ ამომართული...  
ქართული ენა გულში დამალე,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალებ!..  
ღმერთ შეეხუენე ლამაზ ქართულით,  
ღვთის ემანეთი ტკბილი გურჯულით,  
ღმერთ ესმის ჩუენი გულში ფურჩულიც,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალებ!..  
გამჩენელს ესმის ყველას სათქმელი,  
ყველას მოუსმენს ადრე თუ მალე,  
უფალო, კალთა გადაგუაფარე,  
ღმერთო ბატონო, შენ შეგვიბრალებ!..  
შენიდამ ველით ყუელა კარგობას,  
შენ ხარ მილღეთის დამპურობელი,  
ქართული ენის დამბრუნებელი!“ (იქვე: 275).

აკადემიკოს ნიკო მარის შემდეგ, ანუ 1904 წლიდან, ვიდრე 1989 წლამდე, ჩვენი სახელოვანი მტბევრებისა თუ ოპიზრების ნაკვალევზე გავლა ვერ მოახერხა ვერც ერთმა ქართველმა მეცნიერმა – ვერც კაცმა და ვერც ქალმა. სულის შემხუთველ საბჭოთა ეპოქაში, როცა თურქეთში ჩიტიც კი ვერ შეფრინდებოდა, საქართველოდან მხოლოდ ჰუმანიტარულ დარგში აჭარელ ქალბატონებს შორის პირველმა მეცნიერებათა დოქტორმა შეძლო ამის გაკეთება. პროფესორ შუშანა ფუტკარაძის აზრით, „ტაო-კლარჯული ქართული მეტად რთული ისტორიის წიაღშია აღმოცენებული, რომელშიც ისმის ამ მიწის ზედაპირზე დატრიალებული

ავბედითი ქარტეხილების გამოძახილი: აქაური ქართული არ არის მონოლითური, რომლის დიალექტური დიფერენციაცია, ძირითადად, ემთხვევა მოცემული მხარის ისტორიულ-გეოგრაფიულ დაყოფას“.

თავისი მოღვაწეობით ქალბატონმა შუშანამ რის ვაი-ვაგლახით მოახერხა საუკუნეების მანძილზე დაკარგული ნათესავების პოვნა და მათში ჯერ კიდევ შემორჩენილი ქართული ადათ-წესების დეტალური აღწერა, დიდებული მონოგრაფიებისა თუ ფუნდამენტური ლექსიკონის გამოცემა, „მინის ყვილის“ გრძობით გატანჯული აჭარისა და მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობის გადაღმა თუ გადმოღმა მხარეების ძველებური ურთიერთსიყვარულის აღდგენა.

ამჯერად შევეცდებით, წარმოვადგინოთ მხოლოდ სქემა ჩვენი შესანიშნავი კოლეგის ლინგვისტური მოღვაწეობისა და ამ ფუნდამენტზე დაყრდნობით დავსახოთ ახალი პერსპექტივები:

პროფესორ შუშანა ფუტკარაძის შრომებში, რომელთა უმრავლესობა, სამწუხაროდ, დღემდე დაუსტამბავია, კვლევა მიმდინარეობდა ორი მიმართულებით: იმერხეული, ლივანური, მაჭახლური და ტაოური მეტყველება, ერთი მხრივ, და მუჰაჯირ ქართველთა მეტყველება, მეორე მხრივ, ანუ ძირძველი მოსახლეობის ქართული და თურქეთის შიდა რაიონებში საუკუნეთა მანძილზე აჭარიდან, მესხეთ-ჯავახეთიდან თუ ტაო-კლარჯეთიდან სხვადასხვა დროს გადასახლებულთა ქართული. თავისთავად ცხადია, მივიღეთ ძალზე რთული და ჭრელი სურათი, რაც განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ზოგადი ენათმეცნიერების პოზიციებიდან, კერძოდ კი ტიპოლოგიურად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ენათა მორფონოლოგიური თუ ლექსიკოლოგიური ასპექტების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, მაშინვე უნდა დასმულიყო ე. წ. გარდამავალ დიალექტთა თუ კილოკავთა საკითხიც.

დეტალურადაა შესწავლილი ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემა, მნიშვნელოვანი ფონეტიკური პროცესები, მეტყველების ნაწილთა აგლუტინაციური, ფლექსიური თუ დერივაციული ტიპები, რიცხვის წარმოება სახელსა და ზმნაში, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, სტატიკური ზმნები... გამონვლილვითაა განხილული პარადიგმატულ თუ სინტაგმატურ ერთეულთა კანონზომიერებანი ან მათგან განსხვავებული სპეციფიკური მოვლენები. დამატებლადაა ახსნილი არა მხოლოდ თურქული ლექსიკური კალკები, არამედ ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენათა მიხედვით აგებული ქართული ფრაზებიც.

პროფესორი შუშანა ფუტკარაძე დაასკვნის: „ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში თურქულ ენობრივ გარემოში მოქცეული მუჰაჯირთა ქართული დღემდე ცოცხლობს და ინარჩუნებს თავისთავადობას. ცხადია, უცხო ენის გავლენით ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ძირითადი ლექსიკური ფონდი და გრამატიკული წყობა უმთავრესად უცვლელი დარჩა. აქაურთა მეტყველებას შენარჩუნებული აქვს ასი-ასორმოცდაათი წლის წინანდელი აჭარული დიალექტის იერსახე. რაც შეეხება ტაოკლარჯულს,

ეს დიალექტური წრე ახლოს დგას აღმოსავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან, კერძოდ, მესხურ-ჯავახურთან; ამიტომ ბუნებრივად მიგვაჩნია ქართული ენის სამხრულ-დასავლურ დიალექტებს ზოგადად ვუწოდოთ „მესხური“. უკანასკნელი დებულება, ალბათ, სადავოც შეიძლება იყოს, მაგრამ აქ ამის შესახებ პაექრობის არც დროა და არც ადგილი.

ისტორიული ტაო-კლარჯეთის მეტყველება ყურადღებას იქცევს, უპირველეს ყოვლისა, ფონეტიკურ-ფონოლოგიური თვალსაზრისით. ეს ეხება ფარინგალურ ჯ ბგერას და ჟ/ჟ სონანტებს. ამ მხრივ ზოგი რამ დღემდე საკამათოა სხვადასხვა მკვლევართა შორის, ამიტომაც საანალიზო საკითხები უნდა შევისწავლოთ ექსპერიმენტული ფონეტიკის მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც არა მარტო სერიოზულ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული, არამედ ამ ტერიტორიაზე უახლესი, მაგრამ იმავდროულად უმძიმესი ტექნიკური აპარატურის ტრასპორტირებასთანაც. მიუხედავად ამისა, ეს საქმე უსათუოდ უნდა გაკეთდეს! – XXI საუკუნეში მხოლოდ მკვლევრის სმენით ორგანოზე დაყრდნობა პოზიტიურ შედეგებს ვერ მოგვცემს!..

რაც შეეხება უმლაუტს, როგორც მორფოლოგიურ მოვლენას, აქაც უნდა გავაგრძელოთ მუშაობა პროფესორ შუშანა ფუტკარაძისა და სხვა მკვლევართა შრომებში წარმოდგენილი დაკვირვებებისა თუ მათი საილუსტრაციო მასალების საფუძველზე, კერძოდ – რა პროცესთან გვაქვს საქმე? არის კი ისტორიული სამხრულ-დასავლური მეტყველების უმლაუტი თურქულის მსგავსი მოვლენა და, მაშასადამე, არამონათესავე ენათა კონტაქტების შედეგი თუ საერთოქართველური (ან, უკეთ რომ ვთქვათ, სვანური) სისტემის მახასიათებელი, რომელიც ტიპოლოგიურად საოცარ პარალელს პოულობს გერმანულ პალატალურ (ე. წ. წინა მიმართულების) თუ ველარულ (ე. წ. უკანა მიმართულების) უმლაუტთან?

მაშასადამე, ისტორიული საქართველოს სამხრულ-დასავლური დიალექტების კვლევისას არა მხოლოდ მეგრულ-ჯანურ ფენას (და არა სუბსტრატს, როგორც ეს დღემდე კეთდებოდა) უნდა მიექცეს ყურადღება, არამედ – სვანურსაც. სერიოზულად უნდა იქნეს შესწავლილი არა მარტო ბილინგვიზმის, არამედ დიგლოსიის პრობლემებიც.

„ვარი“ საკმაოდაა გავრცელებული იმერხევის სოფლებში, აქაური მეტყველების მოსმენისას უთუოდ გაგვახსენდება არა მხოლოდ IX-XI საუკუნეთა კლასიკურ ლიტერატურულ ძეგლებსა თუ თუშურში, ფშაურში, ხევსურულში, ფერეიდნულში არც ისე ხშირად დადასტურებული იგივე ფორმები „არსებობის“ აღმნიშვნელი მეშველი ზმნის I სუბიექტურ პირში, არამედ, სვანური ენის ყველა დიალექტში გავრცელებული ხჷარი („ვარ“)ც, ყველაფერ ამას კი პრექართველურ დონემდე, ანუ თითქმის 3-4, შესაძლოა, 5000 წლის წინანდელ ვითარებამდე მივყავართ, რომლის გათვალისწინება სავალდებულოა ქართველი ხალხის ისტორიის, ეთნოლოგიის, არქეოლოგიის, წყაროთმცოდნეობის,

მითოლოგიის, ფოლკლორისა და სხვა მომიჯნავე მეცნიერებათა სწორად წარმოსადგენად.

პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მიერ გამოვლენილ სტატიკურ ზმნებზე: ხურია, დვია, ყუდია, ხყვია, ... დღესაც უნდა გავრძელდეს მუშაობა სწორედ სვანურის მონაცემებიდან ამოსვლით, სადაც, განსხვავებით თანამედროვე ქართულისაგან, ზოგჯერ ანლაუტში არ მოგვეპოვება ნეიტრალური ქცევის აღმნიშვნელი მორფემა (მღრ. ა-ხურ-ავ-ს, ა-დ-ევ-ს, ა-წყ-ი-ა, ... ერთი მხრივ, და სვან. სიდ „დარჩენილია“, შიდ „ნებადართულია“, ნჷა „ჩანს, იშოვება“, სგურ „ზის“, თერა „ჩანს“, ზი „ძევს“, ყურე „დანოლილია“, მეორე მხრივ. საყურადღებოა, რომ თანამედროვე სვანურში იშვიათად პრეფიქსიან და უპრეფიქსო ზმნათა მონაცვლეობაც შეინიშნება, ოღონდ ეს უკანასკნელი მხოლოდ ღრმა მოხუცთა მეტყველებაშია დასტურდება: ხაკურა „ავდია“, მაგრამ კჷარა, ხატურა „ანთია“, მაგრამ ტჷარა... თუ ამგვარი რამ ტაო-კლარჯულშიცაა მოსალოდნელი, მაშინ შესაძლოა, დაისვას უფრო გლობალური მნიშვნელობის საკითხი ქართველურ ენათა ზმნური კატეგორიების მორფემათა გამოხატვის მიმართის შესახებ უწინარესობა-შემდგომადობის თვალსაზრისით სინქრონიულსა თუ დიაქრონიულ დონეზე.

„უნდა“ ზმნისაგან მომდინარე -ნა ნაწილაკი დღეს ჩვეულებრივია სამცხურ-ჯავახურ მეტყველებაში. საინტერესოა, ეს მორფემოიდი იმერხევის მხოლოდ იმ სოფლებში გვხვდება, სადაც ოდესღაც მესხები ცხოვრობდნენ, თუ სხვაგანაც? ამ ფაქტს სერიოზული ახსნა დასჭირდება მომავალში ერთი და იმავე ენის კილოთა კონტაქტების პოზიციებიდან.

„ჩვენებურების ქართულში“ გამოქვეყნებულ ტექსტებში ლინგვისტის (და არა მარტო ლინგვისტის) ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს ფორმათა ორგანული და მეტაფრასული წარმოება. მაგალითად, ოპოზიციური წყვილი „ყურს უგდებს“ – „ყურგდებულობს“ და მისთანები უნდა განვიხილოთ უნივერსალიათა თვალსაწიერიდან. პროფესორ შუშანა ფუტკარაძის აზრით, ტიპოლოგიურად განსხვავებულ ენათა ურთიერთქმედების შედეგი უნდა იყოს შემდეგი აღწერითი შესიტყვებანი: იმერხეული ჩავგაყენა გზაში (= „გამოგვაცვილა“), ტელეფონი უზამეთ (= „დაურეკეთ“), სელამი მიცა (= „მიესალმა“) და სხვები.

ისტორიის ჩარხის უკუღმა ტრიალის გამო საუკუნეთა მიღმა დედასამშობლოს ფესვებს მონყვეტილმა მეტყველებამ, თავისთავად ცხადია, სერიოზული ცვლილებები განიცადა, რასაც დღეს თავად მოსახლეობაც გრძნობს. „აჭარული და აქეური გურჯიჯა ერთმანეთ არ ეწყობა“ – ასე მოახსენა ქალბატონ შუშანას 76 წლის ფეჰში იენილმაზმა (ხევრადემ), ხოლო დაბა მურღულში (ნიგალის ხეობა) მას ერთმა მოხუცმა ქალბატონმა ცრემლნარევი ხმით უთხრა: „ახალები აღარ ელტვიან გურჯიჯასა“ (ფუტკარაძე 1993: 421), რაც, რაღა თქმა უნდა, ძალზე სამწუხაროა.

აი, როგორ ჰყვება დიდებული ქართველი – პატრონი სტამბულის სავანისა (სადაც შენახულია მისი ამშენებლის გული), საქართველოს

არაერთი სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბატონი სიმონ ზაზაძე კათოლიკური ეკლესიის დარბევის შესახებ 1957 წელს: `გაძარცვეს სავანე... შეეშინდენ, გაყვითლდენ, ავით გახდენ, შიშით კიბო დეემართენ აქაურ კათოლიკებსა“ (იქვე: 147). ვერც ერთ თანამედროვე ქართველურ ენასა თუ დიალექტზე ვერც ერთი ქართველი ვერ გადმოგვცემს, ალბათ, ამგვარად თავს დატეხილ უბედურებას.

მაშასადამე, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეტყველება შესწავლილ უნდა იქნეს არა მხოლოდ საკუთრივ ლინგვისტური (მორფოლოგიური, მორფოსინტაქსური, ლექსიკურ-სემასიოლოგიური თუ ეტიმოლოგიური) თვალსაზრისით, არამედ უფრო ფართო თვალსაზრისიდან – ინტერდისციპლინური ასპექტებით. პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მოწაფეებსა თუ კოლეგებს ძალზე სერიოზული სამუშაო აქვთ ჩასატარებელი მომავალშიც, მით უფრო ახლა, როცა, ღვთის წყალობით, პოლიტიკური ამინდი აშკარად დათბა, რაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ მეცნიერებმა.

„ჩვენებურების ქართულში“ არაერთი ისეთი ამბავია მოთხრობილი, რომელთაც ვერავინ – ვერც კაცი, ვერც ქალი და ვერც ბავშვი – უცრემლოდ ვერ წაიკითხავს. საკმაოდ შეზღუდული რეგლამენტის გამო, მოვიყვანთ მხოლოდ ერთ პატარა ნაწყვეტს 94 წლის პავლე ზაზაძის ნაამბობიდან, 1913 წელს არღელ მღვდელს, შალვა ვარდაძეს, რომ გაჰყვა სტამბულში ახალციხის რეგიონის სოფელ უდედან სამღვდლოდ მოსამზადებლად:

„ფიქრებში წავალ ბევრჯერა – მევიარ აქაურობასა. მახსოვს, სოფლის ტყეში ერთი დანგრეული ეკლესია იყო – დედამ წამიყვანა იქა და ვილოცეთ. ტყეში რომ შეხუალ, ერთი დიდი წყარო შეგხდება. იმ წყაროს წყალი მწყურია ახლა... ბევრჯერ სიზმარში მესიზმრა. ამ ბოლოხან დამესიზმრა წყარო, ამა ვერ ვსვი, დაკეტილი იყო – დიდი ოქროებით იყო დაფარული, ოქროები კაი საქმეა, საქართუელო სინათლეში გამოვა, მარა დაკეტილი რომ იყო და ვერ ვსვი, ეს არ დამწონდა... ესა საქართველოსთვისაც არ ამბობს კარგსა, რატომ იყო წყარო დაკეტილი? ჯერაც იმაზე ვფიქმანობ და ვერ გამიგნია... ჩემი ყისმათი აღარნა იყოს ჰელბეთ იმ წყაროს წყალი... გადანყვეტილი მაქ, ამ წელიწადში შემოვიდე საქართველოში სარფის კარიდამ. ზღუით წაველ ბათომიდამ, ხმელეთით მოვალ... ეხლა კაი მოდით, ძალიან გამახარეთ, საქართველოდან მოსული დიდი ხანია აღარ შემხდენია...“ (ფუტკარაძე 1993: 149).

და მართლაც, ჩამობრძანდა თითქმის საუკუნოვანი კაცი საქართველოში! დღეს თუ ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდებულ საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმებს მასპინძლობს ხოლმე, ეს ბატონი პავლე და სიმონ ზაზაძეთა დამსახურებაა! ამის დასტურია მათ მიერ დაფინანსებული მათივე სახელობის სააქტო დარბაზი, რომელიც თანამედროვე არქიტექტურისა თუ უახლესი ტექნიკის მიღწევების მიხედვით და ხელთუქმნელი მშენებლებითაა აღვსილი.

ზემოთ მოყვანილ პატარა ნაწყვეტში ბევრი რამ იქცევა ყურადღებას: ქალბატონი შუმანას ისეთ შესანიშნავ მოქართულე მოქმედებას კი, როგორც პავლე ზაზაძე გახლდათ, ქართული „მაგრამ“ (დიალექტური „მარა“) კავშირის გვერდით არაბული „ამა“-ც წამოსცდა. ასეთია დიდ უცხო ქვეყანაში მომწყვდეული ყველა მცირერიცხოვანი მოსახლეობის მეტყველების ბედი! – ქართველები გამონაკლისები ხომ ვერ ვიქნებით?!

განსაკუთრებით მინდა გავხაზო, რომ არათუ საკუთრივ ტაოკლარჯული, არამედ არანაირი სამხრულ-დასავლური ან სამხრულ-აღმოსავლური, არც საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი (აჭარული, მესხური, ჯავახური) და არც ჩვენი ქვეყნის ბედკრული ისტორიის გამო მის საზღვრებს გარეთ მოქცეული (ინგილოური, ფერეიდნული) ლექსიკა დღემდე არ არის შესწავლილი ეტიმოლოგიური თვალსაზრისით, თუმცა მასალა უკვე საკმაოდ გვაქვს ქართველ თუ უცხოელ ეთნოლინგვისტთა წყალობით.

მუჰაჯირი ქართველების თავზე წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა, თორემსხვა არაფერი დაჰკლებიათ, „გაჭირვებისაგან დერდით გველენეთ, თვალებზე ცრემლი და ზურგში ოფლი არ შეგვშრობია“, – ეუბნებოდნენ ქალბატონ შუმანას ღრმად მოხუცი მოქმედები და მაინც, მიუხედავად საუკუნეთა განმავლობაში შეუხორცებელი „მინის ყვილის“ ჭრილობისა, დღეს მაინც ასე ლოცულობენ მათი შთამომავლები: `ღმერთო, მეგვე წვიმა-წყალი, შიგვინახე ზე და თუარე!“ (ფუტკარაძე 1993: 81).

აი, როგორ მღერიან დღეს ტაო-კლარჯეთში:

„შავი ზღვის პირზე თოვლი მოსულა, შენი ფუტკარი სხუასთან წასულა, შავი ზღვის პირზე მასკლავი ბწყინავს,

შენი ფუტკარი დღეს სხუაგან ფრინავს,

ბახმაროს თებზე დაუთოვლია, შენი ფუტკარი სხუას უპოვნია...

შეფრენილო ფუტკარო, წადი, მავანს უთხარო:

– შენ ქართული შვილი ხარ, შვილო, მოდი ჩემთანა!..

წიფლი ფურცელ ნუსხას დავწერ დამწიფული მოცვითაო,

წყარო წყალი მოდინდება, არ ეტევა ღარაზგო,

შენი – ჩემი სიყვარული არ ინონვის ფარაზგო...

აბრეშუმის ლანდებიო, რა ლამაზი ბრძანდებიო,

საყვარელო, შენ და მეო, შენ დღე გიყუარს, მე – ღამეო;

ბათუმო და გურიაო, თქვენი ნახვა მწყურიაო...“ (იქვე: 54-55, 95, 143).

და ეს ყველაფერი „ჩვენებურების ქართულმა“ გვამცნო!!!

პროფესორ შუმანა ფუტკარაძეს სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მართლაც ეს ფუნდამენტური წიგნებიც იკმარებდა ქართული სამეცნიერო ლიტერატურის ოქროს ფონდისთვის!

„ჩვენებურების ქართულის“ მეორე ტომი ქალბატონი შუმანა ფუტკარაძის სადოქტორო დისერტაციაა, რომელიც 1993 წელსვე იყო მზად გამოსაცემად, როცა შესანიშნავი მკვლევრის ფუნდამენტური წიგნი გამოვიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისმა პუბლიკაციამ 23 წლით

დაავიანა – მკითხველმა ეს შესანიშნავი ნაშრომი მხოლოდ 2016 წელს მილო ქ. ბათუმში, მერე კი იგი ყველგან გავრცელდა – როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ. ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჭატორ ქართველთა მეტყველების ლინგვისტური ანალიზით ყველა დაინტერესდა – ენათმეცნიერი, ეთნოლინგვისტი, ფოლკლორისტი, ისტორიკოსი, არქეოლოგი, მუსიკათმცოდნე, მო-მღერალი, პოეტი თუ მოცეკვავე. წიგნი ეძღვნება არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ორი დიდებული დირექტორის – აკადემიკოსების ქეთევან ლომთათიძისა და ბესარიონ ჯორბენაძის ნათელ ხსოვნას. სწორედ მათ მოახერხეს, სამეცნიერო მივლინებაში გაეგზავნათ ქალბატონი შუშანა სახელმწიფო საზღვარს მიღმა მდებარე საქართველოში, რაც მაშინ თითქმის წარმოუდგენელი იყო. ამ დიდებული მონოგრაფიის წინასიტყვაობაში ავტორი მთელ ქართველობას უხდის მადლობას თანადგომისათვის – ამერსა თუ იმერში, ბოლოს კი ერთი გულის ამაჩუყებელი ქართული ანდაზის („მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო“) გააზრების საფუძველზე დაასკვნის: „საუკუნეთა განმავლობაში საქართველოსა და თურქეთს შორის ჩამოყალიბებულ „კარის მეზობლობას“ ურთიერთპატივისცემა აცოცხლებს. ამიტომ თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ და ვაძლიერებდეთ ამ მრავალსაუკუნოვან სიყვარულს“ (გვ. XVIII).

პროფესორმა შუშანა ფუტკარაძემ „ჩვენებურების ქართულით“ ღირსეულად მოიხადა ვალი თავისი მშობლიური ენის, ხალხისა და თურქეთში მცხოვრები მილიონობით ქართველის წინაშე. ღმერთმა წიგნისკენ დაულოცა გზა წუთისოფლის უკუღმა ტრიალში მოყოლილ ქართველობას, ყოველმა მათგანმა მიატოვა თავისი საქმე და გაბრწყინებული სახით მთელი სული თუ გული გადაუშალა მათი ცხოვრებისა და მეტყველების შესასწავლად ჩასულ მეცნიერს, რაც შესაძლებელი გახდა „რკინის ფარდის“ ახსნისა და სარფის კარის გახსნის შემდგომ – გახალისდა სახელმწიფოთაშორისი საზღვრები: ძმამ ძმა ნახა, ნათესავმა – ნათესავი, მოყვარემ – მოყვარე და სასიკეთოდ აღდგა ძველი კეთილმეზობლური ურთიერთობანი. ცხადია, ასეთ შემთხვევებში თავი იჩინა ენათა და დიალექტთა ინტერფერენციამ, დიგლოსიამ, ბილინგვიზმმა და ა.შ. ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა ქალბატონი შუშანას დაკვირვება:

თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა 450 წლის მანძილზე გაცილებით კარგად შემოინახეს მშობლიური ენა, ვიდრე ფერეიდნელმა ან საინგილოში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა. ამ მხრივ, თავისთავად ცხადია, გადამწყვეტი როლი შეასრულა ოსმალეთსა და თურქეთის ამჟამინდელ სახელმწიფოში შექმნილმა შემწყნარებლურმა პოლიტიკამ არაოფიციალური, საოჯახო ენად გამოყენებული ქართული მეტყველების მიმართ. ამასთანავე, განსხვავება შეინიშნება ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე (თანამედროვე თურქეთის რესპუბლიკის



შიდა რაიონებში) მცხოვრებ ძირძველ ქართველთა და აჭარა-მესხეთიდან თუ ტაო-კლარჯეთიდან მუჰაჯირად გადასახლებულთა შთამომავლების მეტყველებაში. მათი ფონეტიკურ-ფონოლოგიური, მორფოლოგიურ-სინტაქსური თუ ლექსიკოლოგიური შესწავლის საფუძველზე პროფესორი შუმანა ფუტკარაძე აკადემიკოს ნიკო მარის მიერ გამოყოფილ იმერხეულ დიალექტს (ადრინდელი შავშურის ნაშთს) უმატებს მაჭახლურსა და ლივანურს (ისტორიული კლარჯეთი). კლარჯულ დიალექტებშია განხილული, აგრეთვე, აჭარულიც და მესხური მეტყველების არქაული ვითარების ამსახველი ტაოს ქართულიც (გვ. 404-422).

მონოგრაფიის ავტორი საგანგებოდ მსჯელობს ერთ-ერთი უმწერლობო ქართველური ენის – ლაზურის გავლენაზე, განსაკუთრებით სინტაქსურ კონსტრუქციებში (მაგ., ამაჲ არ სვამს ჩაი = ეს არ სვამს ჩაის – გვ. 416), ხოლო ბერძნულის, სომხურის, არაბულისა და თურქულის გავლენა, ძირითადად, ლექსიკას დასტყობია ქართული ენის სამხრულ-დასავლურ დიალექტებში, თუმცა გვხვდება უცხოენოვანი აფიქსებიც (გვ. 404, 412).

ლ, რ, მ, ნ სონორთა დაკარგვა-გაჩენის შემთხვევებს არაერთი მკველვერის ყურადღება მიუქცევია სხვადასხვა დროს. ეს პროცესები ქართველურ ენათა თითქმის ყველა დიალექტში შეინიშნება სიტყვის ინლაუტში და ამიტომ არა გვგონია ო ხმოვნის მეზობლობა განაპირობებდეს მაჭახლურ ხოცი < ხორცი, მოტიალდა < მოტრიალდა და მისთანა ფორმებს. სპეციალური ლიტერატურის (თამაზ გამყრელიძე, გივი მაჭავარიანი – სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965: 140-144) შესაბამისად, საერთოქართველურ ენაში \*ლ, \*რ, \*მ, \*ნ, \*ჟ, \*ფ ფონემები აღგებასონანტების სახით, რომელთაც ფონეტიკური გარემოცვის მიხედვით შეეძლოთ შეესრულებინათ როგორც უმარცვლო, ისე მარცვლოვანი ელემენტების როლი. ალბათ, შ. ფუტკარაძის მიერ მოყვანილ ილუსტრაციებში რ უმარცვლო იყო, თუ, რასაკვირველია, „ხორც“ და „ტრიალ“ ძირები არსებობდა საერთოქართველურ ენაში. პირველი ძირი ჯერ-ჯერობით უცნობი ეტიმოლოგიისაა, ხოლო ქართული -ტრ-იალ ფუძის ძირისეული ელემენტი, ალბათ, \*ტარ- ვარიანტიდან მომდინარეობს; შდრ. მეგრული ტორ-იმ-უ-ა („ხტუნაობა, კუნტრუ-ში“), ტურ-ინ-ი („ხტომა“) და სვანური (ლენტეხური) ლი-ტრ-ელ-ძლ < \*ლი-ტარ-ელ-აღ („თამაში“), თავისთავად ცხადია, თუ ეს უკანასკნელი სხვა დიალექტებში დადასტურებული -შდერ ძირისგან არ მომდინარეობს (ბქ. \*ლი-შდერ-ელ-ძლ > \*ლი-შდრ-ელ-ძლ > \*ლი-შტრ-ელ-ძლ > \*ლი-ტრ-ელ-აღ) ლენტეხური დიალექტისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ფონოტაქტიკური წესის (შდ > შტ) თანახმად.

მართალია, პროფ. შ. ფუტკარაძე კვლავაც გვპირდება ახალი წიგნების გამოცემას, მაგრამ, ვფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების ვალია, კიდევ უფრო დეტალურად გამოიკვლიონ, რითი ემსგავსება ზემოიმერხეული

მეტყველება ზემოაჭარულს ან ქვემოიმერხეულს რატომ დაჰკრავს მესხური დიალექტის მსგავსი იერი? ექსპერიმენტული ფონეტიკის უახლესი აპარატურით უნდა იქნას შესწავლილი სვირევენელთა (ქვემო იმერხევი) ინტონაცია, რადგანაც მათი მეტყველების მომიჯნავე კილო-თქმათა სადემარკაციო ხაზი სწორედ მახვილის სპეციფიკას წარმოაჩენს.

საკმაოდ რთულია, ალბათ, ვითარება ზედა მაჭახლური (თურქეთში) და ქვედა მაჭახლური (საქართველოში) კილოკავების ურთიერთმმართველის თვალსაზრისით. სავარაუდოა, რომ პირველ მათგანში მეტი იყოს ბილინგვიზმის მოვლენები, ხოლო მეორეში – დიგლოსიისა.

მკითხველს, ბუნებრივია, უჩნდება გარკვეული ეჭვი – ლივანურ დიალექტზე რა ღობით ახდენს გავლენას ლაზური მეტყველება? – ეს სუბტრაქტია (გვ. 405) თუ დიგლოსიური მოვლენა? ორსავე შემთხვევაში უფრო კონკრეტული და დეტალური ილუსტრაციების ძიებაა საჭირო.

თავისი სამკვიდროდან აყრილმა ქართველობამ თითქმის ყველა უცხო ქვეყანაში რის ვაი-ვაგლახით შეინარჩუნა მშობლიური ენა. ამის შესახებ არაერთხელ თქმულა და დანერილა, მათ შორის ჩვენს საანალიზო ორტომეულში ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ქართველი ქალბატონები, რომლებიც თავიანთ შვილებს საკუთარ კერიასთან ასწავლიდნენ დედაენას. ვინ მოთვლის, რამდენი გულამაჩუყებელი ეპიზოდია მოთხრობილი „ჩვენებურების ქართულში“! აი, ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც გვიყვება გოგინაურელი მუჰაჯირის შვილი ღურსუნ გოგიტიძე:

„საქართველო ჩვენი დედამინა არი!.. იმ ხალხს გუემარჯოს, რომ დედის ენა ყველთვინ ულაპარიკნიან, ენიდან არ მუეცილებიან და დღემდი აცოცხლებენ ქართულსა, ახლაც იციან აჭარის დელე-ღურდანი – არ დავინყებიან და დღესაც იხსენებენ, დღესაც ენატრებიან... დარჩენილ ჩვენ სისხლსა და ხორცსაც გუემარჯოს! – აქაურებსაც გუემარჯოს და იქაურებსაც! ჩვენა გურჯისტანის კარგობა, მისი დიდობა გვინდა, ის გვახარებს. გვინდა, რომე ჰუქუმათი გაანყოს, მისი თავდიდი გეიყვანოს თავარბაშათ, მისი ბაირალი ქონდეს... ცალი ყური სულ მაქეთ გვაქ, მაქაური დერდი გვანუხებს. თქვენი კარგობით ჩვენ გევხარებთ, ჩვენი კარგობით თქვენა გეიხაროთ!“ (ფუტკარაძე 1993: 19).

კიდევ ერთ ეპიზოდს მოვიყვანთ ჩვენი ახალგაზრდა კოლეგის ნიამ ზოსიძის წიგნიდან „აჭარათური საქართველოჲსა“ (2017: 282):

„რა ქნას „გურჯის ქალმა“ – ჩემმა ნენემ, როგორ შეეხმიანოს ნათესავ-მოკეთეს, როგორ შეუთვალოს სალამ-ქალამი, როგორ მოუყვეს ხებერ-ამბავი?!. და პოულობს გამოსავალს – იგნებს თავისებურ დამწერლობას, დღეს რომ ლინგვისტები „დედაბრულს“ უწოდებენ, ზოგნი „დიდნენეს ანბანს“, ზოგნი კიდევ – „ჩიტის ენას“... მუსლიმანურ ადათ-წესებში თავჩარგულს იმდენი დრო აღარ რჩებოდა, რომ მამაკაცებისთვისაც ესწავლებინა ქართული წერა-კითხვა“.

გულის მომკვლელია მამა-პაპათა ნაფუძარი მიწიდან ბარბაროსული მეთოდებით აყრილ და ყოფილი საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში შუა აზიის რესპუბლიკებში 1944 წელს გადასახლებულ მესხთა უმძიმესი ისტორია, რომელიც დღემდე გრძელდება. მაშინ ბევრი ძირძველი ქართული სოფელი აღიგავა პირისაგან მიწისა... თითქოს აკლდათ ისტორიული სამცხე-ჯავახეთის მკვიდრთ უბედურება და ერთიკ დაუმატეს – ყველაზე შეურაცხმყოფელი ტერმინი – „თურქი მესხები“ უწოდეს.

ქალბატონი შუშანა 26 წლის მანძილზე იკვლევდა თურქეთში მცხოვრებ „ჩვენებურთა“ მეტყველებას და უდარებდა მას როგორც აჭარულ, ისე მესხურ-ჯავახურ დიალექტებს. თავისთავად ცხადია, საერთო მეტი იპოვა, ვიდრე განსხვავებული, თუმცა მძიმე ისტორიულმა ვითარებამ და ახალმა გეოგრაფიულმა გარემომ რომ გარკვეული დაღი დაასვა მათ ქართულს, ესეც ხომ ფაქტია! პროფესორ შ. ფუტკარაძის ფუნდამენტურ სამეცნიერო ორტომეულში საგანგებოდაა გაანალიზებული ამ მსგავსება-განსხვავებათა მაჩვენებელი უამრავი საილუსტრაციო მასალა, სხვადასხვა დროს ფიქსირებული უამრავ ქალაქსა თუ სოფელში. ამ დიდებული წიგნების ჩამომქანდაკებელი „ჩვენებურთა“ ერთი უკეთილშობილესი ფრაზით მხოლოდ დროებით ემშვიდობება თავის სათაყვანებელ მკითხველებს – იქითურსა თუ აქითურს, გაღმელსა თუ გამოღმელს, სახელმწიფოთაშორისო საზღვრის უკან თუ წინ მოსახლე ქართველებს:

„გვამშვიდობოს ღმერთმა!“

იმედია, ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის კვლევით ინსტიტუტში ახლახან დაარსებული „სტამბოლის ქართული საგანის ბიბლიოთეკისა და არქივის კვლევის ცენტრი“ კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ქართველ და თურქ მეცნიერთა ურთიერთთანამშრომლობას.

ქალბატონო შუშანა, მთელი სულითა და გულით გილოცავთ ბარაქიანი ჭირნახულის მონევას და მოკრძალებით გლოცავთ მომავალი წარმატებებისთვის! თქვენ ხომ დიდი ნიკო მარის გაკვალულ გზაზე იარეთ მთელი სიცოცხლის მანძილზე, ახლა კი ჩვენს კოლეგებსა და მოწაფეებს დავულოცოთ მოღვაწეობა თქვენს ნატერფალზე!..